განკარგულება:**g-31.312211912**
თარიღი:**29/04/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №27

2022 წლის 28 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამული კოდით 02 11) პროგრამის განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის 1-ლი და მე–2 ნაწილების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 106^1–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტის და და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამული კოდით 02 11) პროგრამის განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამული კოდით 02 11) პროგრამის განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამული კოდით 02 11) პროგრამის განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამული კოდით 02 11) პროგრამის განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამული კოდით 02 11) პროგრამის განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2022 წლის 15 მაისამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი), ტელ: 0494 22-30-09).